**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ჩინეთის კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ**

**ჩინეთის კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის**

**დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. **ჩინეთის კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** (შემდგომში„ინსტიტუტი“)წარმოადგენს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში -„ სტუ“-ს) **საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** (შემდგომში - „ფაკულტეტი“-ს)
საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ფაკულტეტის ბაზაზე ახორციელებს სასწავლო, სამეცნიერო კვლევით საქმიანობას ჩინეთის მიმართულებით.
1.2. ინსტიტუტითავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობის, ფაკულტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
1.3. ინსტიტუტი დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სარგებლობს სპეციალური უფლებამოსილებით, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს.

1.4. ინსტიტუტს აქვს დებულება, ბეჭედი, ბლანკი, დამოუკიდებელი ბალანსი,საკუთარი ხარჯთაღრიცხვა, საბანკო ანგარიშები და სხვა რეკვიზიტები.
1.5. ინსტიტუტის სრული სახელწოდება ქართულ ენაზე - **ჩინეთის კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**
ინსტიტუტის შემოკლებული სახელწოდება ქართულ ენაზე - ჩკსკი
ინსტიტუტის სრული სახელწოდება ინგლისურ ენაზე- Research Institute Of China Studies
ინსტიტუტის შემოკლებული სახელწოდება ინგლისურ ენაზე-RICS.
1.6. ინსტიტუტის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. N 77

**მუხლი2.ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები:**

1. ინსტიტუტის მიზნებია:
2.1.1.საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება,სასწავლო,სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება, საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობის გაძლიერება ჩინეთის მიმართულებით, ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია.

2.1.2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში სტუდენტების, მაგისტრების პროფესორ-მასწავლებლების ინტეგრაცია, ჩინეთის წამყვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან სასწავლო-კვლევითი მიმართულებების მიხედვით.

2.1.3 სტუდენტების, მაგისტრების დაპროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური მობილობის ამაღლება.

2.1.4. ფუნდამენტალური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება ჩინეთის, ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობის, და ჩინური ენისა და კულტურის შესწავლის განვითარების კუთხით.

2.1.5. ჩინეთთან ინტეგრაციის, მისი იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიულ-კულტურული ასპექტების შესახებ კვლევების განვითარება, მაღალი დონის ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირება და ამ სფეროს ექსპერტების მომზადება რეგიონული კონტექსტისა და ამ რეგიონში საქართველოს როლის გათვალისწინებით.
2.1.6. ქართულ-ჩინურ ურთიერთობათა პრობლემების შესწავლა და კვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათებლო პოტენციალის გამოყენებით.

2. **ინსტიტუტის ამოცანებია:**

2.2.1.საქართველოში ჩინეთის კვლევის განვითარებისათვის აუცილებელი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების, პროექტების შემუშავება და რეალიზება;

2.2.2. კვლევის შედეგების განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება.
2.2.3. აკადემიური როგრამების განხორციელება საბაკალვრო,სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე;
2.2.4. სამეცნიერო-საგანმანათლებლო კვლევების ერთობლივი ფონდების შექმნა;
2.2.5. ჩინეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან პროფესიონალური კონტაქტების დამყარება და განვითარება, მჭიდრო კავშირების დამყარება სამართლის,საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის სფეროში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, დოქტორანტებს და მაგისტრებს შორის.
2.2.6. ორმაგი დიპლომების და გაცვლითი პროგრამების განვითარება პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
2.2.7. ჩინურ-ქართული საინვესტიციო პროექტების კონსულტაციური მხარდაჭერა;
2.2.8. ჩინური ენის სწავლების გაძლიერება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში;

## 3.ინსტიტუტის ფუნქციები

ამოცანებიდან გამომდინარე ინსტიტუტს აქვს შემდეგი ფუნქციები:
3.1.სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და პროექტების განხორციელების მიზნით, საქმიანი კონტაქტების დამყარება არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, ჩინეთის უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სექტორთან;

3.2კვლევების შედეგების კომერციალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა;
3.3. რეგულარული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადება, ანალიტიკური ცნობების და მოხსენებების მომზადება თემების მიხედვით.
3.4.მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების მომზადება და ჩინური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა.
3.5.საერთაშორისო და ადგილობრივ, უცხოურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ
მისიებთან სამეცნიერო, კულტურული და საინფორმაციო სფეროებში ურთიერთობის კოორდინაცია;
3.6. სამეცნიერო კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, დებატების, სტუდენტური ტელეხიდების მომზადება და ჩატარება;
3.7. საზაფხულო სკოლების ორგანიზების ხელშეწყობა.

**მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა.**

4.1. ინსტიტუტის სტრუქტურა და საშტატო განრიგი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის მიერ, ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით.

**მუხლი 5. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა**

5.1. ინსტიტუტი წარმოადგენს ფაკულტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ რგოლს, რომლის სტრუქტურა ითვალისწინებს: ინსტიტუტის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს და ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს.
5.2. ინსტიტუტის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.
5.3. ინსტიტუტის დირექტორი:

- ხელმძღვანელობს და წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას;
- წარმოადგენს ინსტიტუტს  ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში.
- განსაზღვრავს საშტატო ცვლილებებს, ინსტიტუტის თანამშრომლების და მოწვეული სპეციალისტების წახალისების და დისციპლინარული სასჯელის დაკისრების საკითხებს.
- ამზადებს ინსტიტუტის საქმიანობის გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშს, რომლებიც წარედგინება ფაკულტეტის  საბჭოს.
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

- კანონმდებლობით დადგენილი წესით და ინსტიტუტის საქმიანობის მიზნებისთვის განკარგავს ინსტიტუტის შემოსავლებს;
- ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც მას ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით.
- დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი ფაკულტეტის საბჭოსთან და დეკანთან შეთანხმებით.
- დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. მოადგილის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მისივე ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომელი.

5.4 ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ხელს უწყობს ინსტიტუტის დირექტორს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
- ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის ჩინეთის საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;
- ორგანიზებას უკეთებს ინსტიტუტის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებს;

5.5. მეცნიერ-თანამშრომელი

- მეცნიერ-თანამშრომელს უფლება აქვს:
- დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეციერო კვლევის ინაარსი, მეთოდები და საშუალებები;

მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;

- წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება ინსტიტუტის მიერ დასახული ამოცანების შესრულებასთან.

**მუხლი 6. ინსტიტუტის დაფინანსება**

6.1 ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

- ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული სამეცნიერო პროექტების განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავალი;
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.
- სხვადასხვა ფონდებიდან მოძიებული სამეცნიერო-საკვლევი გრანტები.
- სპონსორთა საქველმოქმედო თანხები და შემოწირულობები.
- ინსტიტუტის გამოქვეყნებულ შრომათა/მასალათა შემოსავალი (ჰონორარი).
- სამეცნიერო ანალიტიკური პროდუქციისრეალიზაციისა და საგამომცემლო საქმიანობით მიღებული თანხები.
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
- ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ინსტიტუტის  განვითარებას.

**მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება**

7.1.თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი ქონებით.

7.2.ინსტიტუტის ქონება შედგება მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული, ასევე საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

7.3. ინსტიტუტისქონებასშეადგენსძირითადისაბრუნავისაშუალებები, აგრეთვესხვამატერიალურიფასეულობადაფინანსურირესურსები.

**მუხლი 8. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა**

8.1. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ფაკულტეტის საბჭოს ან დეკანის გადაწყვეტილებით;

8.2. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაციის) შემდეგ მისი ქონება რჩება უნივერსიტეტს, თუ ინსტიტუტსა და მის დამფინანსებლებს შორის შეთანხმებით ან შესაბამისი პროექტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**LEPL - Georgian Technical University**

**Academic Council**

**Resolution № 01-05.04/15**

**Tbilisi** **February 7, 2019**

On Report letter of Professor Iv. Jagodnishvili, Dean of Faculty of Engineering Economic, Media Technologies and Social Sciences, GTU

**Based on** Article 21 - the law of Georgia on Higher Education," Article 8 - Charter of Legal Entity of Public Law - Technical University of Georgia, approved by the Order N133 /б of September 9, 2013 of the Minister of Education and Science of Georgia, report letter of Prof. Iv. Jagodnishvili, the Dean of the Faculty of Engineering Economic, Media Technologies and Social Sciences, GTU and Protocol No. 01-05-02 / 4 of February 7, 2019, the GTU Academic Council stated:

1.To approve the decision of Academic Council of Engineering-Economic, Media Technologies and Social Sciences, GTU on establishing the "Research Institute of China Studies" and submit the institute provision to the Representative Council (Senate )GTU for approval;

2. The issue will be presented by Professor Iv. Jagodnishvili, the Dean of the Faculty at the meeting of Representative Council (Senate);

3. The Resolution can be appealed within 1 month after the publication in the Tbilisi City Court (located in Tbilisi, Davit Aghmashenebeli Alley, 12th km, N6).

Chairman of the Academic Council A. Prangishvili

Secretary of the Academic Council G. Salukvadze

**LEPL - Georgian Technical University**

**Representative Council (Senate),**

**Resolution №01-06-02/18**

**Tbilisi** **February 22, 2019**

**Establishment of "Research Institute of China Studies " on Faculty of Engineering Economic, Media Technologies and Social Sciences, GTU and Approval of its Provision**

Based on Article 18 - the law of Georgia on Higher Education," Article 11 - Charter of Legal Entity of Public Law - Technical University of Georgia, approved by the Order No.133/ნ of September 9, 2013 of the Minister of Education and Science of Georgia, Resolution No.01-05-04/15 of February 7, 2019, approved by Academic Council, GTU and the Protocol No. 01-06-02/02 of February 22, 2019, the Representative Council (Senate) GTU stated:

1. Establish the "Scientific Research Institute of China" on Faculty of Engineering Economic, Media Technologies and Social Sciences, GTU " and approve its provision;

2.The Resolution can be appealed within 1 month after the publication in the Tbilisi City Court (located in Tbilisi, Davit Aghmashenebeli Alley, 12th km, N6).

Representative Council (Senate), GTU

Speaker, Professor Jemal Gakhokidze